სწავლა-სწავლების მეთოდები	სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდებს. ესენია: • ლექცია-სემინარები და სამუშაო ჯგუფები; • პროექტებზე/პრობლემაზე/შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება; • შეფასება და უკუგება (ურთიერთშეფასება და გარე-შეფასება); • ინტერკულტურული ინკლუზიური მიდგომა; • გონებრივი იერიში, დისკუსია და დებატები; • დამოუკიდებელი და ჯგუფებში მუშაობა; • ანალიზის და სინთეზის მეთოდი; • პრაქტიკული მუშაობა (წერითი, ზეპირი დავალებები); • როლური და სიტუაციური თამაშები; • დემონსტრაციული და ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • შერეული სწავლების მეთოდები და სხვა ის მეთოდები, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების სისტემაში. ინტერაქტიური და მოქნილი სწავლების პროცესის დაგეგმვისთვის და შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყენებული იქნება თსუ-ს ელექტრონული



	სწავლების პორტალი Moodle-ის პლატფორმაზე (e-learning.tsu.ge).
შეფასების წესი	სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. ინაწილი: სტუდენტი ყოველ საგანში ფასდება ECTS-ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულიანი სისტემით შეფასების მეთოდებით ადექვატურად მოწმდება პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები, მაგ: აქტიურობა, შუალედური შემოწმებები, პრაქტიკული და კვლევითი დავალებები, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაციები და სხვ. კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი გამოცდა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წერითი, ზეპირი ან კომბინირებული ფორმით. სტუდენტები ფასდებიან მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე. კრედიტის მინიჭება ხორციელდება დავალებისადმი დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულების შემთხვევაში. ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.



საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

II ნაწილი:

სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან და აღწერილია პირველი ნაწილის კომპონენტში. მეორე ნაწილში ემატება სამაგისტრო ნაშრომის შეფასება.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება



წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას⁵. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმები:

- აქტუალობა - 5 ქულა
- კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა
- ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა
- ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა
- ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა
- ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა

სულ - 100 ქულა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

ა) აქტუალობა - 5 ქულა

(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).

ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა

(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

⁵ <https://bit.ly/3kDfjht> - სა მა გ ის ტ რ ი ნ ა შ რ ი მ ის და ც ვ ის წ ე ს ი



	გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). შენიშვნა: რეცენზენტი რეკომენდაციის გაცემისას ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, გარდა ვ) პუნქტისა.
დასაქმების სფეროები	თსუ-ს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი პოტენციურ დამსაქმებლებთან; პროგრამის განხორციელება



ხელს შეუწყობს საქართველოში მედიაფსიქოლოგიის დარგის განვითარებას.

I ნაწილი:

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მედიაფსიქოლოგები მუშაობენ სამაუწყებლო კომპანიებში, მარკეტინგულ და სარეკლამო ფირმებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, კერძო, სახელმწიფოს მართვის ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში; ისინი აწარმოებენ დამოუკიდებელ და კორპორატიულ კონსულტირებას, წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ აქტივობებში, ადვოკატირებასა და პოლიტიკის წარმართვაში.

დასაქმების სფეროები და პოზიციები მოიცავს, მაგრამ არაა ლიმიტირებული ამ ჩამონათვალით:

- ანალიტიკური და საკონსულტაციო კომპანიები (ანალიტიკოსის და კონსულტანტის პოზიციები);
- არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფოკუსირებულია მედიასა და კომუნიკაციებზე (პროექტის მენეჯერის, ანალიტიკოსისა და კონსულტანტის პოზიციები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის ორგანიზაციები და სარეკლამო სააგენტოები (ანალიტიკოსები და კონსულტანტები);
- მედია ორგანიზაციები: ტელევიზია, რადიო და ონლაინ და ბეჭდური მედია (სარეკლამო და მედიაკონსულტანტები);
- სამთავრობო სტრუქტურები და პოლიტიკური პარტიები (ანალიტიკოსები და კონსულტანტები).

სფეროები, სადაც მედიაფსიქოლოგია ასევე არსებითია:

- მედიის პერსონალის კონსულტირება;
- მედიასტანდარტების განვითარება და მათი გაუმჯობესებისთვის ანალიზის ჩატარება;
- მედიის შესახებ წერა ან სხვადასხვა მედიაში ექსპერტებად სტუმრობა;



- მედიის სოციოლოგიური, ბიჰევიორისტული და ფსიქოლოგიური ეფექტების ანალიზი და ა.შ⁶.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მედიაფსიქოლოგებს თავისი წვლილი შეაქვთ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- სოციალური მედიის სტრატეგიის განვითარება ორგანიზაციებისა და ბრენდებისთვის;
- ონლაინ პლატფორმების განვითარება სოციალური მეწარმეობისა და არასამთავრობო სექტორისთვის;
- საზოგადოების (თემის) შექმნა და აუდიტორიის ჩართულობა;
- გართობის საშუალებები, რომლებიც ვრცელდება მედიაში;

II ნაწილი:

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მედიაფსიქოლოგები მუშაობენ სამაუწყებლო კომპანიებში, მარკეტინგულ და სარეკლამო ფირმებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, კერძო, სახელმწიფოს მართვის ორგანოებსა და არასამთავრობო, სამეცნიერო და კვლევით ორგანიზაციებში; ისინი აწარმოებენ დამოუკიდებელ და კორპორატიულ კონსულტირებას, კვლევებს, წვლილი შეაქვთ აკადემიურ და საზოგადოებრივ აქტივობებში, ადვოკატირებასა და პოლიტიკის წარმართვაში.

დასაქმების სფეროები და პოზიციები მოიცავს, მაგრამ არაა ლიმიტირებული ამ ჩამონათვალით:

- ანალიტიკური და საკონსულტაციო კომპანიები (ანალიტიკოსის და მკვლევარის პოზიციები);
- არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფოკუსირებულია მედიასა და კომუნიკაციებზე (მკვლევარის და კონსულტანტის პოზიციები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის ორგანიზაციები და სარეკლამო სააგენტოები (კონსულტანტები);

⁶ Batinic, Bernad, ed (2008) (in German). [Medienpsychologie](https://doi.org/10.1007/978-3-540-46899-8). Heidelberg: Springer Medizin Verlag. ISBN 978-3-540-46894-
[http://dx.doi.org/10.1007/978-3-540-46899-8](https://www.psychologytoday.com/us/blog/the-media-psychology-effect/201211/defining-and-describing-media-psychology), <https://www.psychologytoday.com/us/blog/the-media-psychology-effect/201211/defining-and-describing-media-psychology> (last seen Aug. 20, 2018)



- მედია-მონიტორინგის კომპანიები (ანალიტიკოსის და მკვლევარის პოზიციები);
- მედია ორგანიზაციები: ტელევიზია, რადიო და ონლაინ და ბეჭდური მედია (სარეკლამო და მედიაკონსულტანტები, ჟურნალისტები და პროდიუსერები);
- სამთავრობო სტრუქტურები და პოლიტიკური პარტიები (ანალიტიკოსები და კონსულტანტები).

სფეროები, სადაც მედიაფსიქოლოგია ასევე არსებითია:

- მედიასტანდარტების განვითარება და მათი გაუმჯობესებისთვის კვლევების ჩატარება
- მედიის შესახებ წერა ან სხვადასხვა მედიაში ექსპერტებად სტუმრობა
- მედიის სოციოლოგიური, ბიჰევიორისტული და ფსიქოლოგიური ეფექტების და სხვ. კვლევა, და ა.შ⁷

მედიაფსიქოლოგიის კვლევები ასევე სასარგებლოა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა:

- ინდივიდის და ჯგუფის სტერეოტიპების ფორმირება, განმტკიცება ან შეცვლა;
- ჩართული და გამორთული კამერის მრავალფეროვნება და ეფექტები/ზეგავლენა აუდიტორიაზე, ამბებზე და მედიის პერსპექტივებზე;
- სარეკლამო მესიჯების კვლევა და სხვ⁸.

სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მედიაფსიქოლოგებს თავისი წვლილი შეაქვთ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- სოციალური მედიის სტრატეგიის განვითარება ორგანიზაციებისა და ბრენდებისთვის;
- ონლაინ პლატფორმების განვითარება სოციალური მეწარმეობისა და არასამთავრობო სექტორისთვის;
- საზოგადოების (თემის) შექმნა და აუდიტორიის ჩართულობა;
- გართობის საშუალებები, რომლებიც ვრცელდება მედიაში;

⁷ Batinic, Bernad, ed (2008) (in German). [Medienpsychologie](https://doi.org/10.1007/978-3-540-46899-8). Heidelberg: Springer Medizin Verlag. ISBN 978-3-540-46894-
<https://www.psychologytoday.com/us/blog/the-media-psychology-effect/201211/defining-and-describing-media-psychology> (last seen Aug. 20, 2018)

⁸ იქვე



	ფსიქოლოგიური კვლევების ჟურნალისტიკისთვის და ფართო საზოგადოებისთვის გადათარგმნა.
სწავლის გაგრძელების პერსპექტივა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (ნაწილი I) კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (ნაწილი II) კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.
სწავლის საფასური	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: I ნაწილი: 15 პედაგოგი, აქედან 4 წარმოადგენს თსუ-ის აკადემიურ პერსონალს/სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერს, 4 - მოწვეულ პედაგოგს, 7 - უცხოელი პედაგოგია. II ნაწილი: 5 პედაგოგი, აქედან 1 წარმოადგენს თსუ-ის აკადემიურ პერსონალს/სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერს, 4 - მოწვეულ პედაგოგს. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მეექვსე აკადემიურ კორპუსში (ჭავჭავაძის გამზირი N 8, სადაც მიმდინარეობს ძირითადი სწავლება) განლაგებულია სათანადო ინვენტარით, აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები; სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების ოთახები



	საკონფერენციო აუდიტორიები; კომპიუტერული რესურს-ცენტრი, სატელევიზიო სტუდია, თსუ მულტიმედია ცენტრი, ნიუსრუმი, სამონტაჟო, რეკორდერები, დიქტოფონები, ციფრული კამერები და სხვ. განვლილ წლებში პროგრამის ხელ-ლის (პროფესორ მარიამ გერსმაიას) მიერ მოძიებული იყო საერთაშორისო გრანტები, რომლის მეშვეობითაც მოხდა სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (აუდიტორიების განახლება, ტექნიკური აღჭურვა, მულტიმედია ცენტრის დაარსება და სხვ.); საბიბლიოთეკო რესურსები განლაგებულია პირველ, მეორე, მესამე და მალღივ კორპუსებში. პროგრამის სტუდენტები ისარგებლებენ ფაკულტეტის აუდიტორიებითა და ასევე, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით. ბიბლიოთეკები აღჭურვილია კომპიუტერებით და სხვა საჭირო ტექნიკით. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და/ან შესაბამისი რიდერები განთავსებულია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. თსუ-ს სტუდენტებს წვდომა აქვთ ელ. ბაზებში არსებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე, პუბლიკაციებზე (Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR), რომლებსაც აქტიურად იყენებენ დავალებების მომზადებისთვის.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ინაწილი: • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს დავალების ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს დავალება.



იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა.

სტუდენტის დავალება მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin“-ის გამოყენებით. ამ მიზნით სტუდენტი დავალების ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [ელექტრონული სწავლების პორტალზე](#).

აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ონლაინ](#).

II ნაწილი:

სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin“-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [ელექტრონული სწავლების პორტალზე](#).

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ამოწმებს სამაგისტრო ნაშრომს „პლაგიატზე“, ხელმძღვანელობს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით“. სამსახური, დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე, ნაშრომების ელექტრონულ ვერსიას უგზავნის რეგენზენტს და კომისიას. ნაშრომში შესაბამისი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით აცნობებს სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიას რეაგირების მიზნით.

ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილება:



	ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში; ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე; გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტის ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა გაუგზავნოს წერილობითი თანხმობა მაგისტრანტის დაცვაზე დაშვების თაობაზე.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ამ ეტაპზე, საგანმანათლებლო პროგრამა მოემსახურება 5 სტუდენტს. პროგრამაზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზოგადი თემატიკა მოიცავს საკითხებს, რომლის მიხედვითაც იქნება ფორმულირებული ესსეს კონკრეტული სათაური. ესენია: ტექნოლოგიების პოზიტიური და ნეგატიური გავლენა ადამიანზე; ყალბი ახალი ამბების გავლენა ამომრჩეველზე; ემპათია და სოლიდარობა მედიაში; სერიალების გავლენა აუდიტორიაზე; მედიის ზეგავლენა ბავშვებზე; მედია, სტიგმები და სტერეოტიპები. შესაბამისი ლიტერატურა: სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა შემდეგ ბაზებზე: EBSCO, Cambridge online journals, Oxford journals, SAGE publications, ScienceDirect, JSTOR, SciVerse Scopus და ა.შ. იხ. www.tsu.ge და www.ebooks.tsu.ge. სწავლის შედეგების წარმოდგენილი კომპლექტაცია (set) არის ცოდნასა და უნარებზე დაფუძნებული საერთაშორისო კომპეტენციები (I-COMs) მედიაფსიქოლოგიის სფეროში, რომელიც საჭიროა დარგის შესაბამისი კვლევისთვის; მედიას, ტექნოლოგიებსა და ადამიანს შორის ინტერაქციის, მედიის მოხმარების და პროცესების აღწერისთვის; მედიის ინდივიდებზე, სხვადასხვა ჯგუფებზე და ზოგადად, ადამიანის ქცევაზე ზემოქმედების (ეფექტების) განმარტებისთვის; საერთაშორისო კომპეტენციები (I-COM) მოიცავს ცოდნის ფლობას მედიაფსიქოლოგიის თეორიებსა და მოდელებზე, მათთან დაკავშირებულ ემპირიულ მტკიცებულებებზე, კვლევის მეთოდოლოგიებზე და დისციპლინასა და პრაქტიკას შორის ურთიერთქმედების გაცნობიერებაზე. I-COM არის ის საფუძველი, რომელზეც დამოკიდებულია სხვა კომპეტენციები.



პროგრამის ანალოგი: აღნიშნული პროგრამის მსგავსი მიზნების, შედეგებისა და შინაარსის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის და მსოფლიოს ისეთ წამყვან უნივერსიტეტში, როგორებიცაა: Fielding graduate University (USA), University of Salford, Manchester (UK), [Touro University Worldwide \(TUW\)](#), University of Melbourne (Australia), [California State University—Los Angeles \(CSULA\)](#), [Massachusetts Institute of Technology \(MIT\)](#), [Stanford University \(USA\)](#), [New York University \(USA\)](#), [Steinhardt School of Education](#), [University of Iowa \(USA\)](#), [Western University \(Canada\)](#), [University of Sussex \(United Kingdom\)](#), [University of Stirling](#), Scotland Argosy University, Caldwell University, Arizona State University (USA) და სხვ. უფრო მეტი იხილეთ APA-ის #46 მედია ფსიქოლოგიის სექციის საიტზე <http://www.apadivisions.org>. პროგრამას საქართველოში არ აქვს ანალოგი, ამ კუთხით ის უნიკალურია და პირველი.

მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების კომპონენტი: თსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში გახსნილია სასერტიფიკატო კურსი მედიაფსიქოლოგიაში სახელწოდებით „მედიაფსიქოლოგია 101“ (ავტორი: პროფ. მარიამ გერსამია).

საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებიც ჩართულნი არიან მედიაფსიქოლოგიის და/ან მასკომუნიკაციის კვლევებში (აშშ-დან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, უკრაინიდან, კანადიდან, ნეპალიდან, პოლონეთიდან და სხვ) შეაქვთ კონტრიბუცია პროგრამის დახვეწაში. დამატებით, 2019 წელს მიღებულია და ცვლილებებში გათვალისწინებულია გარე-შეფასება ცნობილი უცხოელი მედიაფსიქოლოგის პროფ. მარკუს აპელისგან. ევროპის პარტნიორი უნივერსიტეტები (ერაზმუს +-ის ფარგლებში) ჩართულნი არიან ამ პროგრამის ფარგლებში გაცვლით აქტივობებში. პროგრამის მოდერნიზაცია მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ჟან მონეს ბრწყინვალეების ცენტრის: დემოკრატიის მედეგობა საქართველოში“ ფარგლებში.



Learning Plan/ სასწავლო გეგმა

Faculty: Social and political Sciences

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

Division: Interdisciplinary

მიმართულება: ინტერდისციპლინური

Name of the educational program: Media psychology and communications

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები

Level: Master

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

ECTS: I ნ ა წ ი ლ : 60 ECTS II ნ ა წ ი ლ : 60 ECTS

კრედიტების რაოდენობა: I ნ ა წ ი ლ : 60 ECTS II ნ ა წ ი ლ : 60 ECTS

Head of the program: Professor Mariam Gersamia

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ გერსამია

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22.06.2026 44/2026 (დანართი 295).

Date of approval of the academic program by the Academic Council, resolution number: 22.06.2026 44/2026 (Annex 295).

Date of starting the program (academic year): 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი



Structure of the program/პროგრამის სტრუქტურა
ინაწილი

Types of teaching courses/modules: faculty/mandatory/elective												
სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი												
N	Code/კოდი	Name of the course სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	Hours სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					Prerequisite სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	Semester სწავლები ს სემესტრი		Lecture(s) ლექტორი / ლექტორები
				Contact hours საკონტაქტო			Independent work დამოუკიდებელი	Total/სულ		Fall /შემოდგომის	Spring /გაზაფხულის	
				lecture /ლექცია	Seminar/working group სემინარი/სამუშაო ჯგუფი	Exams/ საგამოცდო						
Mandatory courses / სავალდებულო სასწავლო კურსები 25 credits (ECTS)												
1		Theories and history of media psychology / მედიაფსიქოლოგიის თეორიები და ისტორია	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Sonia Utz სონია უტცი Mariam Gersamia მარიამ გერსამია
2		Academic writing (for media psychologists) / აკადემიური წერა (მედიაფსიქოლოგებისთვის)	5	15	30	6	74	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Tatia Oboladze თათია ობოლაძე Tamar vepkhvadze თამარ ვეფხვაძე
3		Effects of social media use / სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Sonia Utz სონია უტცი Mariam Gersamia მარიამ გერსამია



												Narine Yeghyan ნარინე იეგჰიანი
4		Information warfare and security /საინფორმაციო ომი და უსაფრთხოება	5	15	15	8	62	100	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Mariam Gersamia მარიამ გერსამია
5		Research methods in media psychology and communications / კვლევის მეთოდები მედიაფსიქოლოგიასა და კომუნიკაციებში	5	30	15	8	72	15	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Mariam Gersamia მარიამ გერსამია
Elective courses / არჩევითი სასწავლო კურსები 30 credits (ECTS)												
1		Social psychology / სოციალური ფსიქოლოგია	5	15	15	4	91	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Tea Gvelesiani თეა გველესიანი Revaz Jorbenadze რევაზ ჯორბენაძე
2		Project management / პროექტის მენეჯმენტი	5	30	15	5	75	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Medea Badashvili მედეა ბადაშვილი
3		Political Psychology and communications / პოლიტიკური ფსიქოლოგია და კომუნიკაციები	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Mariam Gersamia მარიამ გერსამია John Nery ჯონ ნერი Yurii Romanenko იური რომანენკო
4		Internship credit-course სტაჟირების კრედიტ-კურსი	10	30	120	8	92	250	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Potential employer პოტენციურ დამსაქმებელთან
5		Public relations theories, applied communications and research / საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიები, გამოყენებითი კომუნიკაციები და კვლევა	5	30	30	8	57	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Mariam Gersamia მარიამ გერსამია



6		Psychology of Advertisement / რეკლამის ფსიქოლოგია	5	15	15	4	91	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Tea Gvelesiani თეა გველესიანი
7		Media Ethics and the Safety in the Global Digital Age / მედიაეთიკა და უსაფრთხოება გლობალურ ციფრულ ერაში	5	15	15	4	91	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓	✓	Laxman Datt Pant / ლახმან პანტი
8		Multi-media Storytelling and Strategies / მულტიმედია ამბის თხრობა და სტრატეგიები	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	William Cathcart / ვილიამ კეტკარტი
9		Solidarity Journalism in a Global Era / სოლიდარობის ჟურნალისტიკა გლობალურ ერაში	5	15	15	4	91	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე		✓	Olena Shevchenko / ოლენა შევჩენკო Mariam Gersamia მარიამ გერსამია
10		Media Psychology and Artificial Intelligence / მედია ფსიქოლოგია და ხელოვნური ინტელექტი	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Salome Belkania სალომე ბელქანია
		Free credit თავისუფალი კრედიტები	5							✓	✓	

Structure of the program/პროგრამის სტრუქტურა
II ნ ა წ ი ლ

Types of teaching courses/modules: faculty/mandatory/elective ს ა ს წ ა ვ ლ კ უ რ ს ე ბ ის / მ ო დ უ ლ ე ბ ის ტ ი პ ი : ს ა ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ო / ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ / ა რჩ ე ვ ი თ ი								
N	Code/კოდი	Name of the course ს ა ს წ ა ვ ლ კ უ რ ს ი ს ს ა ხ ე ლ ო დ ე ბ ა	ECTS	Hours ს ტ უ დ ე ნ ტ ი ს ს ა ა თ ო ბ რ ი ვ ი და ტ ვ ი რ თ ა	Prerequisite ს ა ს წ ა ვ ლ კ უ რ ს ზ ე და შ ვ ე ბ ის წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ა	Semester ს წ ა ვ ლ ბ ის ს ე მ ე ს ტ რი		Lecture(s) ლ ე ქ ტ ო რ ი / ლ ე ქ ტ ო რ ე ბ ი
						Fa ll	Sp rin	



				Contact hours ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო			Independent work და მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ	Total/ს უ ლ			
				lecture /ლ ე ქ ც ი ა	Seminar/working group ს ე მ ი ნ ა რ ი /ს ა მ უ შ ა ო ჯ ზ უ ფ ი	Exams/ ს ა გ ა მ ო ც დ ო					
Mandatory courses / ს ა ვ ა ლ ე ბ უ ლ ს ა ს წ ა ვ ლ ო კ უ რ ს ე ბ ი 40 credits (ECTS)											
1		Methodological approaches in media psychology and research design / მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ი მ ი დ გ ო მ ე ბ ი მ ე დ ი ა ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა შ ი და კ ვ ლ ე ვ ი ს დ ი ზ ა ი ნ ი	5	30	30	8	57	150	No prerequisite წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე	✓	Mariam Gersamia მ ა რ ი ა მ გ ე რ ს ა მ ი ა
2		Media, digital and information literacy / მედია, ციფრული და საინფორმაციო წიგნიერება	5	15	15	4	91	100	No prerequisite წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე	✓	Tinatin Dvalishvili / თ ი ნ ა თ ი ნ დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი Salome Belkania ს ა ლ ო მ ე ბ ე ლ ქ ა ნ ი ა
3		Master Thesis / ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო ნ ა შ რ ო მ ი	30	60			690	750	ყ ვ ე ლ ს ა ვ ა ლ ე ბ უ ლ ს ა ს წ ა ვ ლ ო კ უ რ ს ი	✓	პ როგრამის განმახორციელებელი პერსონალი
Elective courses / ა რჩევი კითხვების 10 credits (ECTS)											
1		Theories of Mass Communications მ ა ს კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ი ს თ ე ო რ ი ე ბ ი	5	15	15	8	87	125	No prerequisite წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე	✓	Eka basilaia ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ბ ა ს ი ა ლ ი ა
2		Research Practice კვლევითი პრაქტიკა	10	30	120	8	92	250	No prerequisite წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე	✓	Potential employer პ ო ტ ე ნ ც ი უ რ და მ ს ა ქ მ ე ბ ე ლ ა ნ
3		Introduction to Applied Statistics using R	5	15	15	5	90	125	No prerequisite წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე	✓	David Sichinava და ვ ი თ ს ი ქ ი ნ ა ვ ა



		შესავალ გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით										
4		Media environment and transformations / მედია გარემო და ტრანსფორმაციები	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Mamuka Andguladze მამუკა ანდგულაძე
5		Medialaw for media psychologists / მედიასამართლო მედიაციოლოგიებისთვის	5	15	15	8	87	125	No prerequisite წინაპირობის გარეშე	✓		Nini Shengelia ნინი შენგელა
		Free credit თავისუფალი კრედიტები	10							✓		

Signatures

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი